

წლიური ფასი სამი მანეთი.

წლიური ფასი სამი მანეთი.

# შინაური საქმეები.

ქოველ-კვირული გაზეთი.

კვირა, 6 თებერვალი, 1191 წელი.

წლიური ფასი სამი მანეთი (ყოველ-კვირულ გაზეთ)

**შინაური საქმეები**  
„ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში, ქ. ქუთაისში (ს. ბურთაძის ქუჩის კუთხით) და თბილისში — კაკაბაძის ქუჩის კუთხით. სიმონაძის ქუჩის კუთხით. გამოცემის დასაწყისში, გარდა კვირისგარეშისა და შაბათისა. გამოცემა ყოველ თვეში ოთხი ნომერი, გარდა კვირისგარეშისა და შაბათისა. გამოცემა ყოველ თვეში ოთხი ნომერი, გარდა კვირისგარეშისა და შაბათისა. გამოცემა ყოველ თვეში ოთხი ნომერი, გარდა კვირისგარეშისა და შაბათისა.“

წლიური ფასი: **3** მანეთი.  
წლიური ფასი: **2** მანეთი.  
წლიური ფასი: **2** მანეთი.

ადრესი: ქუთაისი: „შინაური საქმეების“ რედაქცია.

შინაურსა: 1) სიტყვა წმ. ნინობას — ეფისკოპოს ლეონიდისა. მოხსენება — პრ. ცაგარელისა. კვირადამ — კვირადამდე. სინამდვილე სახარებისა. ანა კან — კლა არხ. ნესტორისა.

14 იანვარი ქალაქ ფოთში.

დიდი სასიამოვნო და გასახარებელია, რომ ამ ბოლო დროს წმ. ნინობის დღე თვალსაჩინოდ იზიდავს ფოთის ქართველობას და, უნდა ვიგულისხმოთ, შორს აღარ არის ის დრო, როდესაც ხსენებული დღე ნამდვილ ეროვნულ დღესასწაულად გადიქცევა. იანვრის ცამეტს ღამისთევით ლოცვა შეასრულა თავის საკათედრო ტაძარში ყ-დ სამღვდელო ლეონიდა.

სწორედ წარუხოცელი დარჩება მლოცველების გულში ის მძლავრი გავლენა, რომელიც იქონია ნინოს დაუჯდომ ღის შეგნებულად და ნამდვილი ბრწყინვალე წესით შესრულებამ. ყველას, ვისაც ცოტა რამ სცხია ცხოველი წარმოდგენის ნიჭისა, მღვდელმთავრის მკაფიო, აზრიანი და გრძობით აღვსილი კითხვა დაუჯდომლისა თვალ-წინ უყენებდა და ხელის გულივით უშლიდა ქართველების კერპთმსახურებისა და ნინოსაგან მოქცევის დიად სურათს.



მეორე დღეს 14 იანვარს, არამცთუ ტაძარი, ეზოც სავსე იქნებოდა მოლოცველებით, რომ ნამეტანი პირქუში და მძაფრი დარი არ გამოსულიყო. ტაძარი მაინც სავსე იყო ადგილობრივი სასწავლებლების მოწაფეებით და მასწავლებლებით.

წირვის გათავებისას მისმა მეუღლებამ ქვემო მოყვანილი საგულისხმო სიტყვით მიმართა მსმენელებს.

გული გვწყდება მხოლოდ იმაზე, რომ საღმრთო წირვას ვერ ამკობდამისი შესაფერი ქართული გალობა. ნეტავი თუ ეშველება რამე ჩვენ გალობას! აი მისი მეუღლის სიტყვა:

**სახელითა მამისათა, და ძისათა, და სულისა წმიდისათა\*).**

თვითნებულ ერს, თვითნებულ ხალხს უკავია დედამიწის პირზე განსაზღვრული სივრცე, განსაზღვრილი მანძილი, განსაზღვრილი ალაგი ანუ ტერიტორია. რაკი ერი იბადება, ვითარდება, საზრდოობს და მრავლდება ერთ ტერიტორიაზე, ამის გამო იგი იმსჯელება ამ ტერიტორიისადმი ისეთივე ბუნებრივი, სათუთი და ცხოველი მაზიდულობით, როგორითაც გამსჭვალულია ხალხმე ყოველივე მოსიყვარულე შვილი მშობელი დედამამისადმი.

შეგნებული ადამიანისათვის სამშობლო და მშობელი ერთი მეორის ფარდი, ერთი მეორის მაგიერი და სწორი ცნებაა. წესიერათ განვითარებული, ე. ი. ცალმხრივობას, სიდუხჭირეს და სიმანჯჯეს მოკლებული ადამიანის გულში იმოდენივე ალაგი აქვს დათმობილი სამშობლოს, რამოდენიც მშობლების სიყვარულსა და პატივის ცემას, მშობლების კეთილდღეობისათვის ზრუნვასა და მათი ღირსების დაცვას.

ჩვენ, — ქართველები, — არასოდეს არ ვყოფილვართ ეულები, უბინადრონი, საკუთარ

\*) ეს სიტყვა ფურცლებზე დაბეჭდილი წირვის შექმნის დაურთავს სადს.

სამშობლოს მოკლებულნი. ჩვენი სამშობლო ყოფილა და არის დედამიწის ის პატარა ნაწილი, რომელიც ძვირფასი ხატივით აწვევია შავსა და კასპიის ზღვებს შუა და თვალმარგალიტებიან ჩარჩოთ გარს შემორტყმია ბუმბერაზი კაცკასიონის ქელი.

სიკეთე ჩვენი სამშობლოსი, — იშვიათი მოხდენილობა და სიკვლეუცე მისი გარეგნობისა, სისადე და უებრობა მისი ჰაერისა, საოცნებო სიმდიდრე და უხვი მომცემლობა მისი ნიადაგისა — იზიდავდა ამ ქვეყნისაკენ ყველა მესახლვრე ერებს და უღვიძებდა მათ გაუწყლებელ მიზიდულობას, რომ ხელში ჩაეგდოთ, დაპატრონებოდნენ და დაესაკუთრებინათ იგი. ამიტომ პატარა საქართველოს ხანგრძლივი წარსულის მეტი ნაწილი წარმოადგენს ყოველ მხრიდგან მოსეულ მტრებთან ბრძოლას და თუ უკანასკნელებს დაელიათ ტყვია და თოფის წამალი, თუ მათ მოუდუნდათ და დაუწლუნგდათ ხმალ-ხანჯალი, თუ მტრებმა მართო კალთები ჩამოაცალეს ჩვენს სამშობლოს და დაპყრობა კი მისი ვერ შესძლეს, თუ ამ შეუწყვეტელი ხმლის ტრიალში და გამუდმებული თოფის სროლაში გართული ქართველი არ გაველოურდა გონებითა და გრძნობით, თუ მიუხედავად სამძიმო პირობებისა, ქართველმა არამც თუ არ დაივიწყა წიგნი და მწერლობა, პირიქით მოახერხა შექმნა საკუთარი კულტურისა და სისრულის უმაღლეს წერტილამდე აიყვანა ენა და მწიგნობრობა, ეს უნდა მივაწეროთ იმ დაუვიწყარი და მადლიანი პიროვნების ღვაწლს, ვისი ზსოვნისათვისაც მადლიერ ერს ძველადგანვე უძღვნია იანვრის მეთოთხმეტე დღე, რომლის სახელსაც იმეორებს დღეს ყოველი რიგიანი ქართველი, რომლის სურათითაც იშვენებენ დღეს ფურცლებს ქართველი გამოცემანი.

წმ ნინო, აი, ვინ ჩაუყარა საძირკველი ქართულ მწიგნობრობას, აი ვინ შექმნა ქართული კულტურა, ვინ დაბადა ქართველებში ერთობა, ვინ შეგვინახა სამშობლო!

წმ. ნინომ დააჯერა და დააწმუნა ქართველები, რომ თვითნებელი მათგანი, გაურჩევლად წოდებისა და მდგომარეობისა, სქე-

სისა და უფლებებისა, ატარებს ღვთისაგან მოცემულ უკვდავ სულსა და ამის გამო დიდი და პატარა ნათესავი, თვისი და მახლობელია ერთი მეორისა, ამასთან ყოველი მათგანი საყვარელი და საამო არსებია ღვთისათვის. ქეშმარიტი ღმერთი არავითარ შეწირულებას, არავითარ მსხვერპლსა და ძღვენს, არავითარ სამსახურსა და საჩუქარს არ ითხოვს ჩვენგან გარდა იმისა, რომ მისგან მიცემულს სულს ვაშორებდეთ სიბნელეს და უვიცობას, უგრძობლობა-გაუეთხაობას, შურიანობა-სიძულვილს, ბიწიერება-ბოროტებას, უქმობას და სხვის ნაოფლარის მითვისებას.

ამ ახალმა მოძღვრებამ, ახალი სინათლის სხივმა გააღწო, გაათბო, გაადვილა და აამოძრავა წარმართობისაგან შეხუთულ-შებოქილი ქართველი კაცის გონება თავისუფალი, შეგნებული და აზრიანი ცხოვრებისათვის. წმ. ნინოს ქადაგების დამკვიდრებას საქართველოში თან მოჰყვა სასწავლებლებისა, მწიგნობრობისა და ერის სულიერი გამდიდრება—განვითარების აყვავება სწორეთ ისე, როგორც გაზაფხულის მაცოცხლებელ მზეს თან მოჰყვება ხოლმე გაღვიძება, გაფუჩქენა და გაშლა—აყვავება ბუნებისა. ქართველი დარწმუნდა არმაზ-ზადენისა და მათ მსგავს კერპების არარაობაში; მას, ნინოს ქადაგების შემდეგ, თვალი აებოლა და მიხვდა, რომ დიდს ბოროტებას, დიდს უგუნურობას და სამარცხვინო საქციელს სჩადის, როდესაც თავის შვილებს ცეცხლში მსწვავს უსულო კერპების სამსხვერპლოდ და ღმერთი წარმოუდგენია კაცის სისხლის მსმელად, არსებად, რომელიც სტკება კაცის უბედურობითა, სიმწარითა და ტანჯვითა. ქართველებმა ჩქარა დაანგრიეს სამარცხვინო, საზარელი და აღამიანის გამათხსირებელი საკერპოები, დაანტერიეს და ნაცრად აქციეს უმსგავსი და უგონო კერპები: პათოსანი და ცხოველს-მყოფელი ჯვარის ამართვით წმ. ნინომ წაუშლელი ასოებით ამოსკრა ქართველების გულის ფიცარზე იესო მაცხოვრის უკვდავი სიტყვები: მცნებასა ახალსა მიგცემ თქვენ, რათა იყვარებოდეთ ურთიერთად, ვითარცა მე შევიყვარენ თქვენ... ამით სცნან ყოველთა, ვი-

თარმელ ჩემნი მოწაფენი ხართ, უკეთეს იყვარებოდეთ ურთიერთად (იოან. 13, 34—35). მანემდე შეუფენებელი, გულ-ქვა კერპი, პირუტყულ გრძობათა მონა და მიმდევარ-მათაყვანებელი, თავისი მსგავსის ხორცის მჭამელი, წარმართი ქართველი, მთლად ახალ ქმნილებად გადაქცა, როდესაც მის გულს მირონად ეცხო წმ. ნინოსაგან შემოტანილი ნათელმოსილი მოძღვრება: საყვარელნო, ვიყვარებდეთ ურთიერთად, რამეთუ სიყვარული ღვთისაგან არს; და ყოველსა, რომელსა უყვარდეს, ღვთისაგან შობილ არს და იცის ღმერთი, რომელსა არა უყვარდეს, მან არა იცის ღმერთი, რამეთუ ღმერთი სიყვარული არს (ა. იოან. 4, 7—8)- რომელსა უყვარდეს ძმა თვისი, იგი ნათელსა შინა არს მისთანა, ხოლო რომელსა სძულდეს ძმა თვისი, იგი ბნელსა შინა არს, და ბნელსა შინა ვალს, და არა იცის, ვიდრე ვალს, რამეთუ ბნელმა დაუბრძნა თვალნი მისნი (ა. იოან. 2, 10—11).

ასეთი მოძღვრების გავლენამ ფიანდახათ გაღუშალა ქართველს ქართველის სული და გული შეათვისა ერთი მეორეს, ზეციური ნეტარება განაცდევინა მოყვასისათვის თავდადებულებაში, ქვრივთა, ობოლთა, უძლურთა, ტანჯულთა, მაშვრალთა და ტვირთ მიიმეთა შებრალება გაკითხვაში და შექმნა ის ერთობა, ის სოლიდარობა ქართველობაში, რომელზედაც ტვინი შეანთხიეს აბეზარმა მტრებმა, რომელმაც შეგვინახა საკუთარი მიწა-წყალი, საკუთარი ტერიტორია, მშობელი დედისაგან სიყვარული და ობოლი მარგალიტით ძვირფასი სამშობლო. ვინ იცის, რა ბედკრული და უიმედო იქნებოდა ჩვენი სამშობლოს დღევანდელი მდგომარეობა, რომ მას არ მოვლენოდა წმ. ნინო, რომ იგი არ დასწაფებოდა წმ. ნინოს მეოხებით ქრისტიანობას! ან იქნებოდა და დღეს ჩვენი ხსენება?

გვესმის და წარმოდგენილი გვაქვს დიადი მნიშვნელობა დღევანდელი დღისა? ვიცით რას უნდა შეადგენდეს ქართველი ერისათვის აწვრის თოთხმეტი? ჩვენი მშობლები, ჩვენი და ჩვენი შვილების აღმზრდელნი, ჩვენი მოძღვრები, ჩვენი საზოგადო მოღვაწეები და ერის

კეთილდღეობისათვის შზრუნველები ჯეროვანი ალტაცებით და მომზადებით ეგებებიან ამ დღეს? სავსეა ჩვენი ეკლესიები ღღევანდელ დღეს წმ. ნინოს პატივის მცემლებითა? იმართება ამ დღეს ჩვენ სასწავლებლებში, ჩვენს დაწესებულებაში ჩვენი მოციქულის პატივსაცემათ საჯარო კითხვები მისი ღვაწლის შესახებ და სასულიერო კონცერტები? გვაქვს წმ. ნინოს სახელობაზე რომელიმე განმანათლებელი ან საქველმოქმედო დაწესებულება? ბევრი არიან ჩვენ შორის ისეთი მშობლები, რომ ვალდებულებათ მიაჩნდეთ გააცნონ თავიანთ შვილებს წმ. ნინოს ვინაობა და მით ჩაუნერგონ მათ გულში ან შარავანდელთ მოსილი პიროვნების სიყვარული? მაგრამ, რა საქირთა კითხვები? ეს კი არა, სულ უბრალო ნიშანი წმ. ნინოს პატივისცემისა, — მისი ხატიც კი — იშვიათი სანახავია ჩვენს გადარჯულებულს, უკულმა გადატრიალებულს, ნირ შეცვლილსა და ყველაფრით დახურდავებულ ოჯახში!

ესეც კიდევ ცოტაა!  
ბოლო ხანებში ჩვენს საზოგადოებაში თავი იჩინა ერთგვარმა მიმართულებამ, რომელიც უარს ჰყოფს ჩვენი დროისათვის წმ. ნინოს ღვაწლის მნიშვნელობასა და ღირებულებასა. აღნიშნული მიმართულების მიმდევრებს ღიდ დანაშაულად მიაჩნიათ წარსრულის გახსენება და იქიდან წასაბაძი მაგალითისა ან იდეალის გადმოტანა თანამედროვეთათვის. საღი ადამიანისა და კაცური კაცის თვალი მხოლოდ მომავლისაკენ უნდა იყოს მიმართული და არა უკან გაიშორებოდესო, ხშირათ გაიგონებთ დღეს ჩვენში.

სასტიკად სცდებიან ამ შემთხვევაში საბრალონი. განა წმ. ნინოს ხსენება უბრალო და უმნიშვნელო გამზერაა წარსრულისაკენ? განა წმ. ნინოს ღვაწლის შეგნებულად გათვალისწინება ნაბიჯის გადადგმა არ არის ბედნიერი მომამელისაკენ? ვინ გავვაცნო, თუ არა წმ. ნინომ, იესო ქრისტეს სიტყვები: იყვენით თქვენ სრულ, ვითარცა მამა თქვენი ზეცათა სრულ არს (მათ. 5, 48) და განა ეს სიტყვები დღეს იდეალად აღარ გვარგვიან? განა უკვე მივწვდით, განვიცადეთ, ჩვენი გონების და სულის თვი-

სებად ვაქციეთ მოყვანილი სიტყვების შინაარსი? ოცი საუკუნეა, რაც ქრისტიანობა არსებობს და ჯერ კაცობრიობის საუკეთესო წარმომადგენლები ქედს იხრიან ნაჩვენები სიტყვების წინაშე და უმაღლეს იდეალად სახვენ მათ ადამიანისათვის.

არა, დიდი და დაუფასებელია ჩვენთვის წმ. ნინოს ღვაწლი და შრომა! მადლიერი ხსოვნა და შვილითი შვილამდგ პატივისცემა საკუთარი განმანათლებლისა, საკუთარი მოციქულისა — ნიშანია ერის კულტუროსნობისა, ერის თვითცნობობა — შეგნებისა. ერი რომელიც ჰკარგავს განმანათლებელის სიყვარულს, თითონ იკრობს გზის მაჩვენებელ სანთელს, თავის ხელით ანგრევს საკუთარი ბედნიერების სიმაგრეს, თითონვე იმზადებს ეულობას.

ღირსო დედაო ნინო, მოგვეც შეუცლომელი შეგნება შენგან ჩვენში დანერგილი ქრისტეანობისა და შენი ღიდებული სახელის მარადის ხსოვნა. ამინ!

ეპისკოპოსი ლეონიდი.

14 იანვარი 1911 წ.



## მ ო ხ ს ე ნ ე ბ ა

პროფესორ ა. ა. ცაგარელისა.

(ნათარგმნია სინოდის ორგანის „Церковныя Вѣдомости“-დან 1906 წლ.).

მოწმობაჲსა მე XVII—XVIII საუკ. ოფიციალურ მაწერ-მოწერისა საქართველთს (ივერიათს) კვლეხისა ავტოკეფალიის შესახებ.

(გაგრძელება \*).

გამოვარკვეთ რა საზოგადოთ ზევით მოყვანილ საბუთების საფუძველზე მაჰმადიან სახელმწიფოების — სპარსეთის და სათათროეთის მე-XVII-XVIII საუკ. დამოკიდებულება სა-

\*) იხ. შინ. საქ. № 4 1911 წ.

ქართველოს ეკლესიასთან, მიემართოთ ახლა საბუთებს, რომლებიც გვიხატავენ მდგომარეობას ეკლესიისა და მისი წარმომადგენელი-ქათალიკოსისას მას შემდეგ, რაც საქართველო, საერთაშორისო ხელშეკრულების ძალით, რომელიც შეკრეს იმპერატორი ეკატერინა II და მეფე ირაკლი II 1783 წელს, <sup>1)</sup> რომლის ძალით საქართველო შევიდა პირებობით დამოკიდებულებაში რუსეთთან და საურთიერთო შეთანხმებით დაარსა საზიარო უფლებანი და მოვალეობანი.

იმ დროს, როცა მეფე ირაკლი, შემაერთებელი თავის უფლების ქვეშ ქართლისა და კახეთის სამეფოებისა და დამპყრობელი განჯისა და ერევნის ხანების საბრძანებელთა, იყო უმაღლეს წერტილზე თავისის დიდებისა და ძლიერებისა, აღტაცებული სურვილით თავის წინამოადგილეებისამებრ, რომ დაეახლოვოს მკიდროთ მართლმადიდებელ სახელმწიფოს, 30 დეკემბერს 1771 წ. გაგზავნა პეტერბურგში დესპანი, შემდგარი ბატონის-შვილის ლეონისაგან და ქათალიკოსის ანტონისაგან, დიდი ამალით სასულიერო და საერო პირთაგან და ხელშეკრულების პროექტით, რომელშიდაც ის განაცხადებდა პირობებს, რომელზედაც მას ჰსურდა ეცნო თავის სამეფოზე მფარველობა რუსეთის ხელმწიფებისა. ამ პროექტში ჩვენ ვკითხულობთ სხვათა შორის ასეთ მუხლს: „ქათალიკოსი დარჩეს უცვლელათ თავისავე წესსა“. (სიგელები და სხ. I ტომი 143). მხოლოდ 1782 წ. შეუდგნენ ამ პირობის შეცვრას. პირობის დედნის შესადგენათ ეკატერინა II გადასცა ვიცე-კანცლერ გრ. ა. ა. ბეზბოროდკოს და თავ. გ. ა. პოტემკინს სახელმძღვანელოთ ბრძანება: „აზრი მისი უდიდებულესობისა იყო, სწერს გრ. ბეზბოროდკო თავ. პოტემკინს, რომ <sup>2)</sup> თქვენი უგანათლებულესობის შემწეობით შეეკრა საქართველოს მეფეებთან (ირაკლი და სოლომონთან) საკავშირო პირობის წერილი, მოეხსენებია ივინი არა ქვეშევრდომებათ, არამედ მოკავშირეებათ, მყოფათ რუსეთის სახელმწიფოს მფარველობის ქვეშ.“ შემდგომ შესახებ

<sup>1)</sup> სრული კრებული რუსეთის კანონებისა გვ. 1013—1017.

საქართველოს ეკლესიისა სწერს: „რომ ეს ხალხი (ქართველი) უკეთ დაუახლოვოთ რუსეთს, ძლიერ სასარგებლოა მათი მღვდელმთავრის უწყება დაუძეოთ ჩვენ სინოდს და არქიეპისკოპოზი—მათი ქათალიკოსი შევრაცხოთ ღირსებით რუსეთის ეკლესიის პირველთა შორის. როდესაც სამღვდლოება მათი დაუკავშირდება სინოდს, მაშინ ამ მაგალითისამებრ რომის (ქათალიკური) სამღვდლოებაც (საქართველოში) რუსეთიდგან მიიღებენ და ამით გათავდება მიწერ-მოწერა რომის (ავსტრიის) იმპერატორთან, რომლის მიზეზნიც არიან მისიონერები“ <sup>3)</sup>.

ამ პირობის პროექტში, დაწერილში გრაფ. ბეზბოროდკოს ხელით, მე 8 მუხლში თქმულია: „მისი იმპერატორებითი დიდებულება ინებებს, რომ ქათალიკოსი ანუ უპირველესი არქიეპისკოპოზი მათი იყოს ადგილით და ღირსებით რუსეთის მღვდელმთავართ პირველ ხარისხში, მხოლოდ შემდეგ კიევისა, ნოვგოროდისა, მოსკოვისა და პეტერბურგისა და უპირატესობდეს ყველა მეორე ხარისხის არქიეპისკოპოზთა წინაშე.“ <sup>3)</sup> უკანასკნელ რედაქციაში კი ეს მე 8 მუხლი პირობისა ასეა: მისი დიდებულება ინებებს, რომ ქათალიკოსი, ანუ უმართებელესი არქიეპისკოპოზი მათი (ქართველთა) იყოს ადგილით რუსეთის მღვდელ-მთავართა შორის მერვე ხარისხში, სახელდობრივ შემდეგ ტობოლისა, და ყოვლად უმოწყალესად ებოდოს მას სამუდამოთ ტიტული უწმიდესი სინოდის წევრისა. საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობაზედ და დამოკიდებულებაზე რუსეთის სინოდთან, — ამაზე უნდა შედგეს მუხლები“ <sup>4)</sup>.

ეს პირობა, შეკრული ორივე სამეფოების, რუსეთისა და საქართველოს მეფეებისაგან, თუმცა არ არის დამტკიცებული საქართველოს ეკლესიის ქათალიკოსის და უწ. სინოდის ხელის მოწერით, მაგრამ მაინც სცნობს ფაქტს საქართველოს დამოუკიდებელ ეკლესიის არსებობისას და წინათვე დააგენს საკუთარი მუხლის

<sup>2)</sup> სიგელები II ტ. I. ნაწ. 31 გვ. II ნაწ. 37 გვ.

<sup>3)</sup> სიგელები II, ტ. 2 ნაწ. გვ. 37.

<sup>4)</sup> ტალკე გამოცემა პირობის შეკრულებისა 173 წ. 8—9 გვ.

შედგენას, რასაკვირველია, ეკლესიის კანონიურ განაჩენების საფუძველზე და ორივე ეკლესიების არჩეულ წარმომადგენელთა მონაწილეობით, რომ დაწესდეს, ასე რომ ესთქვათ, **modus vivendi** ორ მართლმადიდებელ ეკლესიათა შორის, რომლებიც იმყოფებიან ერთ სახელმწიფოს კავშირში, რომელთაგან ერთს (რუსულს) მთელი საუკუნე არ ჰყოლია კანონიური წარმომადგენელი — პატრიარქი. შემდეგ თავ. პოტემკინი, ამ პირობის უკანასკნელ რედაქციაში, დაუნიშნა რა „პატივის უაღრესობის“ გამო მე 8 ადგილი რუსეთის ეკლესიის მღვდელთ-მთავართა შორის, სახელდობრ შემდეგ ტობოლისა, ხელმძღვანელობდა, როგორც სჩანს, არა საზოგადო საეკლესიო, კანონიურ ქრონოლოგიით, ვარნა მარტო გარეშე, მექანიკურ ქრონოლოგიით რუსული სამოქალაქო ისტორიიდან, ე. ი. შემდეგ ყაზანის, ასტრახანის და ციმბირის სამეფოებისა მოჰყვება საქართველოს სამეფო და პატივის უაღრესობის გამო ეძლევა მერვე ადგილი საქართველოს (ივერიის) ეკლესიის წარმომადგენელს ქათალიკოსს.

შეცვლა ანუ დამატება მე-8 მუხლისა, როგორც მთელი პირობის შეკრულებისა შეიძლება მომხდარიყო მხოლოდ „ორივეს მხრივ თანხმობით“, როგორც განაცხადებს მე 12 მუხლი პირობისა: „ესე პირობა შეიკვრის სამარადისო დროსთვის და, თუ მიმჩნეულ იქნება საჭიროდ რაიმე შეიცვალოს ან დაემატოს საურთიერთო სარგებლობისათვის, ეს უნდა მოხდეს ორივეს მხრივ თანხმობის შემდეგ“.

შემდეგ, პეტერბურგში მოსრულმა ქართველმა ელჩებმა აპრილში 1801 წ. წარუდგინეს გარეგან საქმეთა სამინისტროს ვრცელი განცხადება საქართველოს მართველობაზე. მე-11 მუხლი ამ განცხადებისა ეხება მდგომარეობას საქართველოს ეკლესიისას, სამღვდლოებისას და საეკლესიო მამულებისას, და იწყება ასე: „რადგან უპირატესი გვაში ახლა საქართველოს სამღვდლოებაში არის შეილი მეფე ირაკლისა — ანტონი, რომელსაც აქვს ძველებურ დადგენილების გამო ტიტული ქათალიკოსისა და არის ნაკურთხი არქიეპისკოპოსათ დედოფალ ეკატერინა მეორის მეფობის

დროს მეფის სოფელში „ცარსკოე სელოში“ და წარგზავნილია იქაურ სამღვდლოების მართებლად, დარჩეს ის იმ ღირსებაში და წოდებაში, როგორც სხვა ყველანი, თავიანთ ეპარქიებში, აგრეთვე არქიმანდრიტები და ილუმენები მათი კრებულით, დეკანოზები, მღვდლები, დიაკვნები და სხვა ეკლესიის მოსამსახურენი — თვითოეული თავის წოდებაში და ადგილზე. ვინ არიან იგინი სახელდობ და რამდენია — ამაზედ მისვლისათნავე საქართველოში უქვემოკრდომელესად უთუოდ მოგახსენებთ. მაგრამ რადგან განსვენებულმა უბრწყინვალესმა მეფემ და მისმა სამეფომ გთხოვათ, ხელი გაუშართოთ მათ სამოქალაქო და პოლიტიკური სამართალით, ჩვენ მივიღებთ კანდიტებს\* ამაზედ ვსთხოვთ ჩვენს დიდებულს მეფეს, მისცეს უმაღლესი ბრძანება უწ. სინოდს, გამოგზავნოს ჩვენთან, ან ჩვენ შემდეგ, ერთი რუსეთის იმპერიის სამღვდლოთაგანი, ცოტა ხანით, არქიმანდრიტი ან ილუმენი, კაცი თავმდაბალი, საჩვენებლად წესისა, რომელიც რუსეთის ეკლესიაში იხმარება ძღვევისა, ხელმწიფის მოსახსენებელ და სხვა საპატიო დღეების დღესასწაულობაზე“<sup>1)</sup>.

როგორც სჩანს ამ მუხლებიდან ქათალიკოსის მაგიერ ვგზარხოსის დანიშვნა სინოდისაგან აზრდაც არ მოსვლიათ არც ქართველ ელჩებს და არც მათ გამოგზავნილებს პეტერბურგში.

1810 წელს 12 თებერვლიდან, მთავართებელი საქართველოში ლენერალი ტორმასოვი სწერს უწ. სინოდის ობერ-პროკურორს თავ. გოლიცინს: „თავი სამღვდლოებისა (საქართველოში) ქათალიკოსი-პატრიარქი ანტონი, შეილი ირაკლი მეფისა, ქეშმარიტად არის კაცი იშვიათი თვისებისა და წესიერი, ყველასთვის სასურველი, მაგრამ დაუძღურებული და ძლიერ შეწუხებული სნეულებით, იმყოფება ზედგავლენის ქვეშ გულ-ფიცხელ და დაუდგრომელ სასულიერო პირთა, რომლებიც მას თავს ახვევია.“ შემდეგ ტორმასოვი აღიარებს-რა, რომ, „თუმცა არ აქვს უმაღლესი

<sup>1)</sup> სიგელუბი. II ტ. 2 ნაწ. 231 — 233 გვ.

ბრძანება შესახებ ანტონი ქათალიკოსისა“, მაგრამ მიუხედავად ამისა იძლევა წინადადებას „დაინიშნოს სინოდის ეგზარხოსი“ საქართველოს ეკლესიის მართველად, ანტონი ქათალიკოსი კი დაჩრდეს რუსეთში, სადაც ის წავიდა 3 ნოემბერს 1810 წელს და დაენიშნოს მას პენსია 6 ათასი მანეთი საქართველოს ეკლესიის შემოსავლისაგან. (საბუთები კავკ. არქეოლ. კომ. VI ტ. 147 გვ.).

ტორმასოვის ასეთ მოხსენებისა და ობერპროკურორის თავ. გოლიცინის წინადადების გამო, იყო შედგენილი შემდეგი „უქვეშევრდომილესი მოხსენება უწ. სინოდისა“. 1811 წელს. 1783 წელს, ნათქვამია მოხსენებაში, როდესაც ირაკლი II, მეფემ ქართლისა და კახეთისა აღიარა უმთავრესი ძალა და მფარველობა რუსეთის საიმპერატორო ტახტისა, მაშინ, დადგენილ კავშირის ოქმში მე-VIII მუხლში, სხვათა შორის ნათქვამია, რომ საქართველოს ეკლესიის გამგეობაზე და დამოკიდებულებაზე, რომელიც უნდა ჰქონდეს მას რუსეთის სინოდთან, იქნება შედგენილი საკუთარი მუხლი“. შემდეგ ნათქვამია საქართველოში სამოქალაქო მართველობის შემოღებაზე და დასკვნის თანახმად ტორმასოვის აზრისა, სინოდის განჩინება: „იწოდოს მცხეთის მღვდელმთავარი სინოდის ეგზარხოსად მთელი საქართველოსა და იყოს იგი უწ. სინოდის უწყების ქვეშ.“ (საბუთები კავკ. არქ. კომ. VI ტ. 166 გვ.).

არც უწ. სინოდის „მოხსენებაში და არც დენ. ტორმასოვის წარდგინებაში არ არის კვალი ისეთ საეკლესიო კანონებისა, რომლებიც აღუკრძალავენ ერთ დამოუკიდებელ (ავტოკეფალურ) ეკლესიას დაემორჩილოს მეორეს, მისს მსგავსს, მაგრამ სინოდი და ტორმასოვი მსჯელობენ ისე, რომ საქართველო სამოქალაქო მხრივ დამორჩილებულია რუსეთს, მაშასადამე საეკლესიო მხრივაც უნდა დაემორჩილოს რუსეთის ეკლესიის სინოდს. ასეთი განკარგულება სინოდისა არღვევს ბევრ საზოგადო—საეკლესიო კანონებს, რომლებიც მტკიცეთ იცავენ ხელუხლებლობას. უფლებათა და ნებათა საეკლესიო ოლქებისა, პატრიარქებისა, ეპისკოპო-

სებისა და მღვდლებისა მათი სამრევლოებით. რომ დაწესება უცხო ქვეყნის სამოქალაქო უფლებისა არ ამართლებს შემოღებას ამ მხარეში უცხო ქვეყნის საეკლესიო მართველობისას, სიანს ყველასგან ცნობილის მე III მსოფლიო (ევფსოს) კრების მე XIII კანონისაგან შესახებ კიბრის ეკლესიისა, რომელიც წარმოადგენს ანალოგიას საქართველოს ეკლესიასთან მე XIX საუკ. და ჩვენ დღეებში, რაზედაც დაწვრილებით იქნება ქვევით ნათქვამი.

უქაზებში პავლე I-ლისა 1801 წლიდან და ალექსანდრე I-ლისა 12 სექტემბრის იმ წლიდანვე საქართველოში სამოქალაქო მმართველობის შემოღებაზე—ვერცერთ სიტყვას ვერ ვბოლოობთ საქართველოს ეკლესიის რუსეთის ეკლესიასთან შეერთებაზე ან დამორჩილებაზე წინააღმდეგ ამისა, მაგ., ალექსანდრე I მანიფესტში ნაუწყებია, რომ „თვითოველი (საქართველოში) დარჩება განსხვავებულებითა მდგრადობისა თვისისა, თავისუფლად აღმასარებელი თავის სარწმუნოებისა და თავის საკუთრებისა ხელ-უხლებლად“. მე 12 მუხლი რუს—ქართველთ 1783 წლ. შეკრულ პირობისა აწესებს, რომ ყოველგვარი გადაკეთება ამ პირობის მუხლებისა უნდა მოხდეს „ორივე მხრივ თანხმობის შემდეგ“. და ეს ამ შემთხვევაში არ დაკულა. ამ უწმ. სინოდის უკანონო განკარგულებით დაირღვა არამც თუ მსოფლიო და ადგილობრივი კრებების კანონები, არამედ განჩინებანი ადგილობრივ ქართულ ეკლესიისა, აგრეთვე ქართული სამოქალაქო კანონებიცა, რომლებიც მოქმედებდნენ მაშინ საქართველოში. სენატის დადგენილების გამო, ირღვევა სახელდობრ სჯულის—დება მეფე ვახტანგ VI, რომელიც შეიცავს მთელს განყოფილებას ქათალიკოსების კანონებისას, რომლებიც დაწვრილებით საზღვრავენ მდგრადობას, უფლებას და უპირატესობას საქართველოს ეკლესიისა და სამღვდლოებისას. დამორჩილება ან შეერთება საქართველოს ავტოკეფალურ ეკლესიის ოლქისა არ შეიძლება მომხდარიყო რუსეთის ეკლესიის განკარგულების გამო, გარნა უსათუოდ საჭირო იყო ამისთვის საკრებულო დადგენილება მთელი საქართველოს (ივერიის)

ეკლესიისა და ხალხისა, ე. ი. უმაღლესი სამღვდელთა, კრებულისა და მრევლისა და თანხმობა მსოფლიო ეკლესიისა, რომლის წევრადაც ითვლება ივერიის ეკლესია მე IV საუკუნიდგან.

სამწუხაროა, რომ უწმ. სინოდი თავის „მოხსენებაში“ უმაღლეს სახელზე სრულიად არ იხსენიებს ამ შეურყეველსაეკლესიო და სამოქალაქო კანონიურ საფუძვლებს, რომლებიც უკრძალავენ ერთ დამოუკიდებელ ეკლესიას და მეტადრე უძველესს დანაშაულებას მგორე ეკლესიას. ასე, რომ აღექსანდრე კურთხეულს, მეტათ გამსჭვალულს სიმართლით და სჯულიერებით ერგო წილათ ხელი შეეხო, წინააღმდეგ საეკლესიო კანონებისა საქართველოს დამოუკიდებელ ეკლესიისათვის, რომელიც ამის შემდეგ ჩავარდა იმ გახრწნილ მდგომარეობაში, რომელსაც ეხლა ჩვენ ყველა ვხედავთ.

თვით სიტყვები „უნდა დაინიშნოს სინოდის ეგზარხოსად მკოდნესაეკლესიო წესებისა, რომლებიც სრულდება რუსეთში“—იმ განზრახვით, რომ მიიღონ იგინი საქართველოს ეკლესიის წესებში აგრეთვე უკანონოა, რადგანაც ეწინააღმდეგება საეკლესიო კანონებს. (VI კან. ნიკეას კრებისა „უნდა დაცულ იქმნეს ძველნი ჩვეულებანი“). რა სახით შეეძლო ქართულ ეკლესიას, დაარსებულს მე IV საუკუნეში, საუკუნოების განმავლობაში თავის ადგილობრით კრებებზე კანონებისა, ჩვეულებისა და გარდამოცემათა დამდგენელს, მსოფლიო და ადგილობრივ კრებებში მონაწილეობის მიმდებელს, მათთან ერთად ყველა მართლ-მადიდებელ ეკლესიებისათვის სავალდებულო კანონებისა—დამწესებელს, ასეთ ეკლესიას, ყოფილს საუკუნოების განმავლობაში თავისებურ ტერიტორიალურ (გეოგრაფიულ), ეტნოგრაფიულ და ისტორიულ ბირობებში, 1811 წელს შეფთვისებია ერთბაშათ წესები ეკლესიისა, დამყარებულისა მე XI საუკუნე, შემდეგ ეკლესიების განყოფისა?—ეს შერევა ნაცნობისა და უცნობისა, თავისა და სხვისა, ძველისა და ახლისა გახდა მიხეზად იმ შერყევისა და ღელვისა ერის გრძნობაში, რომლის შედეგსაც ეხლა

იცდის საქართველოს ეკლესია და მისი სამწყსო. ასე რომ აზრი საქართველოს ეკლესიის რუსეთის ეკლესიის მსგავსათ მოწყობისა არის უკანონო არა შესაწყნარებელი. რომ არ ვიყოთ მხოლოდ სიტყვის მთქმენი, მოვიყვანოთ რამოდენიმე ფაქტი საზოგადო საეკლესიო კანონების და საქართველოს საეკლესიო წესრიგის დარღვევისა, და რუსეთის ეკლესიის წესების საქართველოს ეკლესიის მართველობაში შემოღებისა:

1) გაუქმება ძველი ივერიის საქათალიკოსოსი, როგორც დამოუკიდებელ საეკლესიო ოლქისა და მსოფლიო ეკლესიის მწვერისა, ხარისხის ჩამორთმევა და ძალ-დატანებით გაგზავნა რუსეთში, თვინიერ კრების დადგენილებისა, გამოკითხვისა და გამოძიებისა, სიკვდილმადის ქათალიკოსად აღმორჩეულ ანტონი II, მეფის შვილისა და „კაცის იშვიათის თვისებისა და ქცევისა, ყველასაგან პატივცემულისა“ დაბადებიდან 46 წლისა, რუსეთში კიდევ 19 წლის გადადგომაში გამტარებულისა—მოქმედება, დამარღვეველი ბევრი კერძო და საერთო საეკლესიო დადგენილებისა. (V და XVII კან. სარდიკ. კრებ., IV კან. ანტიოქ. კრებ.)

2) ეკსპრობრიაცია ანუ საეკლესიო მამულების ჩამორთმევა (გარდა მამულებისა, საქართველოს მეფეთა და დიდებულთაგან ათონს, იერუსალიმს, სინას და სხვ. მინიკებულებისა), რაც მკაცრათ არი აღკრძალული მსოფლიო საეკლესიო და საქართველოს საეკლესიო—სამოქალაქო კანონებისაგან. (24—25 კან. ანტიოქ. კრებ.)

3) გაუქმება საქართველოს ეკლესიის ადგილობრით კრებათა მთელ მე XIX საუკუნის განმავლობაში წინააღმდეგ კანონებისა: 37 მოციქ. კრებ. 5 კან. ნიკეას კრებ., 20 კან. ანტიოქ. კრებ. 17 (27), 73 (84), 76 (87), 95 (106) კართავ. კრებ., 8 კან. ტრულ. კრებ. 6 კან. ნიკეას I კრებ. და 40 ლაოდია. კრებ., ეს კანონები აწესებენ კრებების მოწვევას და მათზე ებისკოპოსების დასწრებას.

4) დღესასწაულობა რუსეთის ეკლესიის წმინდათა დღეებისა თვინიერ საქართველოს

ეკლესიის კრების დადგენილებისა და არა დღესასწაულობა ზოგიერთ საქართველოს წმიდათა დღეებისა, უმეტეს პატივცემულ ხატთა, (რაზედაც იყო ლაპარაკი მე II განყოფილებაში) და ტაძართა: მაგალ., 1905 წელს შემოდგომაზე, მე განგებ დავრჩი თფილისში, რომ ოქტომბერის 1-ს დავსწრებოდი მცხეთის სობოროს ტაძრის დღესასწაულზე, ამ ქრისტიანობის აკენისას საქართველოში, ადგილისა მირონ—მდინარე სვეტიცისა ცხოველის უფლის კვართისა, მაგრამ იქ, ჩემდა ვასაოცრად, ეპისკოპოსის წირვა არ ყოფილა (მე მიიხრეს, რომ 1906 წელშიდაც არ იყოფო), სამი ეპისკოპოსი და მათ რიცხვში ეგზარხოსიც იყვნენ მაშინ თფილისში... მე დარწმუნებული ვარ, რომ, თუკი ეგზარხოსს ნება დაერთო ქართველი ეპისკოპოსები დიდის სიხარულით წავიდოდნენ საწირავათ მცხეთაში, რომელიც მდებარეობს თფილისიდან ოც ვერსზე, სადაც შეიძლება მოგზაურობა რკინის გზით შეუწუხებლად, როგორც პეტერბურგიდან პეტერგოფში, ან ცარსკოე სელოში; ძველათ-კი საქართველოს ქათალიკოსები მოგზაურობდნენ მცხეთაში, დღესასწაულის წინა დღეს დიდის ამალით, ფსალმუნების გალობით, იქ იყრიდნენ თავს სალოცავად მოსულნი ყოველ საქართველოს კუთხიდან; ეს იყო არა მარტო საეკლესიო დღესასწაული „სვეტი ცხოველობა“, არამედ საყოველ-ხალხო დღესასწაული. უბრალო ხალხს ჯერ არ შეუძლია თაყვანი სცეს ღმერთს მხოლოდ „სულითა და ქეშმარიტებითა,“ იმისათვის საჭიროა თაყვანი სცეს უფალსა იერუსალიმში ან ხარაზიმში. ქართველი ხალხისათვის მცხეთის საკრებულო ტაძარი და მცხეთა არის იერუსალიმიც და სოლომონის ტაძარიც. „დაიცავით ძველნი ჩვეულებანი“—ეს ჩვეულება საჭიროა დარჩეს სარწმუნოების გასაძლიერებლად. ასეთი უყურადღებობა ხალხის პირველ ტაძრისადმი, ამდაბლებს რა მას ხალხის თვალში, ასუსტებს მათში სარწმუნოებასაც და არ უმატებს, რასაკვირველია, პატივისცემას ეკლესიის წარმომადგენლებისადმი. ბომბების შიში მიზეზი არ უნდა იყოს, —სარწმუნოება განამტკიცეს და დაიცვეს საქართველოში ქრისტიანთა წამებულობა.

5) არცოდნა საქართველოს ეგზარხოსებისაგან თავის სამწყსოს ენისა ჰხდის მათთვის შეუძლებლად აღასრულონ ხალხისთვის გაუგებარ ენაზე, თვინიერ მთარგმნელისა, მათი ფრიადი მოვალეობანი, როგორც არიან: მანწავლებლობა, მოძღვრობა, მღვდელ-მოქმედება და მართველობაც-კი. რუსეთმა, რომელიც 700 წელიწადი მიიღებდა ხოლმე გამოგზავნილ მღვდელ მთავრებს კონსტანტინეპოლიდან, გამოსცადა, თუ რა შეუფერებელი იყო ეკლესიის მართველად უცხო ტომის და უცხო ენის მკოდნე მღვდელ-მთავარი. სიტყვიერი სამწყსო მისდევს იმ მწყემსს, რომლის ენაც ეყურება.

6) თფილისის სასულიერო სემინარიაში, დაარსებულს 1817 წელში, და სასულიერო სასწავლებლებში საქართველოს საეგზარხოსისა, რომლებიც ინახებიან ადგილობით საშვალეობით და აქვთ მიზნათ მომზადება მწყემსთა საქართველოს ეკლესიისათვის, ყველა საგნებს, დაწესებულ პროგრამით, ასწავლიან რუსულ ენაზე, როგორც რუსულ სემინარიებში და სხვა სასწავლებლებში.

7) ეგზარხოსების განკარგულება, რომ მეტრიკის წიგნები იწერებოდნენ მღვდლებისაგან რუსულ ენაზე, როდესაც საეგზარხოსოში არის, ოფიციალური სტატისტიკით, ასობით მღვდლები, რომელნიც არ ყოფილან სასულიერო სასწავლებლებში, მაშასადამე არა მკოდნენი რუსული ენისა, —არის ურგებ და მძიმე ტვირთად.

8) მეორე განკარგულება შესახებ „ვესტნიკ გრუზინსკა-გო ეგზარხატა“-ს გამოცემისა მარტო ერთ რუსულ ენაზე, (როგორც იყო ეს აქნობამდის)—სრულებით გაუგებარია, რადგანაც მასში იბეჭდებიან ოფიციალური განკარგულებანი ეგზარხოსისა, სავალდებულონი მთელი სამღვდლოებისათვის, რომლის უმეტესობამაც სრულებით არ იცის რუსული ენა.

(შემდეგი იქნება).



### კვირილა — კვირამღე.

